



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1659  
10/09/2018

ქალაქი ბათუმი

1659-05-4-201809101410



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის №2462 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ეე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის №2462 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფა განახორციელოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგმა საჯარო მოსამსახურეებმა:

ა) ნაირა ჭელიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - არქივარიუსი, კურიერი - რომელიც უზრუნველყოფს კომისიაში შემოსული დოკუმენტების საარქივო წესით შენახვას, დაცვას, გამოყენებას, დამუშავებას, და არქივში დაცული დოკუმენტების შესაბამისი წესით გაცემას;

ბ) ელზა თაბაქიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და სტატისტიკის განყოფილებაში III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მომსახურებას/კონსულტაციას, შემოსული განცხადების/კორესპოდენციის დამუშავებას, სისტემატიზაციას და შესაბამისი პასუხების მომზადებას;

გ) ხატია გორგილაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

